№ 7 კვირა, 27 ოქტომბერი 1913 წ. ფასი 5 კაპ.

F №7

სახუმარო ჟურნალი

ჭინჭარი

[illegible]

ჟურნალი „ჭინჭარი“ გამოვა ყოველ კვირა დღეს, თუ რაიმე გარემოება არ შეუშლის ხელს. წლის ბოლომდე ჟურნალი ღირს სამი აბაზი, ფულის მაგივრად მარკები გამოიგზავნება.

მიიღება დასაბეჭდი განცხადება ძლიერ იაფად. მასალები გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Шрома„ для Джинчари“.

F 550/1913

მღვდელი. (ტეტიას) ცოტა ვიჩქაროთ, პოეზდმა არ გაგვასწროს.

ჯიბგირი. (თავისთვის) რაც უნდა იჩქაროთ, ჩვენი ხელიდან მაინც ვერ წახვალთ.

F 2049

ტეტია. კარგ დროზედ მოვედით მამაო, მაგრამ ბილეთები სად უნდა ავიღოთ?

ჯიბგირი. ჩვენ უკეთ ვიცით რა ავიღოთ და სად წავიღოთ.

ვინ არს ჩემი მეგობარი?

(მიბაძვა)

ვინც ცხოვრების ზვირთს ასკდება,
მოძრაობს მის ტალღებ შუა,
ვინც მალამოთ ხალხს ადნება—
მართალს სჩივის, არა სტყუა,
ვისაც მოძმის გასაჭირი
მის იარად გაუხდია,
ვისაც ობლის ჩასაცმელათ,
თვის პერანგი გაუხდია,
ხედავს ტანჯულს, მასთან ერთად,
იგიც არის განამწარი..
ის არს ჩემი მეგობარი!

—

ვინაც მტრიბსა თავ-ზარსა სცემს,
ვინაც იბრძვის სიმართლისთვის,
ვინაც მუდამ ბრძოლაშია,
უკეთესი მომავლისთვის,
ვინაც მარად ნათელს ეტრფის
და სიბნელეს უფრთხის, ძრახავს,
მუდამ შრომობს, მუდამ ოფლს ღვრის,
მოსვენებაც არ ეწახავს—
მას დავეძებ, იგი მიყვარს
რწმენის წინ მყავს დანახატი!
იგი არის ჩემი ხატი.

—

ვინც არ გასცვლის ტანჯულ ხალხსა,
მტრის უთვალავ ოქროებზე,
ვის ყოველ წამ და ყოველ დღე,
გული ერჩის მტარვალებზე,
ვინც სინიდისს არ უარჰყოფს,
თუნდ ჩაებან ყელს ბაწარი,
ვინც სიმართლის აღსადგენათ
არის მუდამ მეომარი,
ვის საერთო მიზნისათვის,
გაულია გრძნობის კარი—
ის არს ჩემი მეგობარი.

ვ. აბრამიძე.

გურული სცენა

(ტრაპაიძნები პეტერბურგში).

— გამარჯობა ბესო! რა ქენი კაცო, რავა არ წასულხარ პეტრებუხში?

— ყპას ნუ მიქცევ ჩემი ძამიე, რაღა ხანჭკის მორება მინდა?

— რა იყო კაცო, რამ გაგაკუჭა ასთე?

— რაიყო და გოგიეს ამოგდება, მისი დაფსება, მისი დაღუპვა იყო!

— ვინ გოგიე იყო ამხანიკო! რაცხა მეც ქე გევიგონე მარა არ დამიჯერია, ერთი დალაგებულათ მითხარი თუ ძმა ხარ!

— ვინ გოგიე და, ჩვენი მაქსიმელა ტრაპაიძის შვილი ლაშეში რო დგანა, გოგიე უწინ შინ ეგდო და ყანას ფუგნიდა, მერე ხოსონას სამიკიტნოში ჩახანას ფხეკავდა... ოი ღმერთი ამოაგდებს რა გვიქნა იმ ღვთის პირიდან ამოვარდნილმა!!

— ჩემო ძმაო თუ მიჩივი ქე მითხარი თორემ შენზე ჯვარის საწერათ არ მცალია.

— რაფერ გითხრა შე კაცო, ენა და პირი ვერ მოსთქვამს იმან რომ ქნა, თავიც მოჯაყა და სხვაიც; ცამეტი წელიწადია, რაც გოგიე სახლიდან წევიდა, ერთხანს ბაქოში რომ ნაკაშიძე ღუბენატორი იყო იმასთან ლაქიობდა. მერე პეტრებუხში არისო ჩიოდენ. ახლა დიდ მარხვაში ჩამევიდა მარა რა ჩამევიდა, ასე რომ დიდი მოროვოი პოსოდნიკივით! შეინძრა მთელი ტრაპაიძნები: „მოვიდა გიორგი მაქსიმიჩ ტრაპაიძეო“—მოაწვა და მოაწვა მნახავები, იმდონი მგონი ექვთიმე დოლიძის რძალი რომ მეიყვანეს იქინეი არ ყოფილა. მთხოვნელებს არ იკითხავ? იმდენი ივანე ნაკაშიძესთან არ მისულა მგონი. მანც რასაკვირველია გააპრტყელა ენა—ასე ვარო, ისე ვარო, პეტრებულში სახლები ვიყიყიდე და აქანე ახლა იმიზა მოვედი რომ გავყიდო ყორიფელი და ჩემიანები იქინეი წევიყვანოვო, ასთე რომ ტრაპაიძნები მთელათ თუ არა, ნახევარი მაინც მიყავდა. ახლა გარეშეებს არ იკითხავ, რამდენი კაცი დაღუპა: ასთე რომ ვინც კი რამეს სთხოვდა ყველას გაკეთებას პირდებოდა. მეწვრიმალე ივანიკა გიგუაძემ ორი იმისანა კამპანია გუუკეთა რომ გურიელის ეკადრებოდა, აბა საცოდავ ესმაიეს, იულა ქამჯარაძის ქვრივის ამბავი თლა საარაკოა! დიდ მარხვაში უდუღებდა ფელამუშს და აყლაპიებდა, ეგება ჩემი დათიკელაი გავატანოვო. ჩავლეშვილებს მურაბის ზავოდი გააკეთებია, მარა ქე დუუსკტა ყველაი ჟესტები. მენაბდნებიდანაც კარგათ იჯერა გული კურტუმო ჩაყვითლებულ დედლებით და ხაჭაპურებით. ასე რომ, მარხვაში მოსულმა გოგიამ იძახა მალე უნდა წევიდევო, თურმე სა წავა? აქანე ვერ გაყიდა ვეფერი, იქინე მის ბარაზედ არაფერი არ ქონია, და ატყუა აი ხალხი—დღეს ხვალ, დღეს ხვალო, ერთი პალტო ხუთჯერ გააჩუქა და მერე ექვს მანეთად გააყიდვია ბაზარში. დაატყუა ყველაყაი და ახლა ენკენისთვეში ქე გეიპარა საცხა იგი დაღუპული!.. ყველაზე მეტი საცოდავი ივანიკაი დარჩა გაყიდა შისი დუქანი და ეხლა ქეა ხელცარიელი.

— ოო, ააშენა ღმერთმა! ლაქიათ და კასრულჩიკათ ნამყოფი კაცი ასთე გამოქნილი იქნებოდ

აგი რეიზა არ იცოდენ, ჩემო ძმია!.. ახლა ადგენ ცენტერაძის მალაზონსავით და დუუწყონ წყევლა, ეგება გიეკეტოს ხაჭაპური კისერში.

თორნიკე.

ბენია და ბეშტია

(ძველებურათ. ხლაფორთის ამბები)

ბენია. ჩემო ბეშტია, რას მეტყვი ახალს, რომ გამიხარდეს?

ბეშტია. იიმე, რას ამბობ ბეჩა, გასახარელი რა არის ჩვენში? ჯერ იყო და ალიხანოვ-ტოლმაჩევმა ანგრია და აქცია ჩვენი კუთხე, მაგრამ მთლად დანგრევა კიდევ ვერ მოასწრეს ისე გადაშავდენ ის ოჯახ დაქცეულები. იგინი კი მოშორდა როგორც იყო, განაწამებ ხალხს, მაგრამ ახლა მის მაგიერ მათი ნაშთი ბნელი ძალები ამოძრავდენ, უნდებიან ალარ იყოს ჩვენი არჩივი ქვეყანა. ზოგს რისხვას მიწიერი მთავრობა გვიგზავნის და ზოგს ზეციერი და ვნახოთ რა იქნება.

ბენია. ეს ზეცის რისხვა რას ნიშნავს? ალიხანოვი ხომ იქიდან ვეღარაფერს დაგაკლებთ?

ბეშტია. ალიხანოვი, ბატონო, დამუშავებულ და მოწეულ სარჩო-საბადებელს წვავდა და ბუგავდა, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც ქე რჩებოდა რაცხა სულის დასაპურებელი. წრეულს რომ შეიკრა ზეცამ პირი, დაუხურა და დაუცხუნა ჩვენ ნაკტავ ნამუშიერს და სულ ერთიანად ამობუგა ძირიანფესვიანა. ხალხი უჭმელ-უსმელი დარჩება და დაიხოცება აბა რა დიემართება!..

ბენია, არა ბეშტია, საქმეს მაქამდის არ მიიყვანს ჩვენი საზოგადოება: მოაგროვებენ სიმინდს, ხორბალს, ფულს და გაუგზავნიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

ბეშტია. რავა, ხაში ხომ არ ვარ ჩემო ბენია, ასე რომ მელაპარაკები? ვინ შეეწევა, ჩვენი საზოგადოება? მერე ხალხს რა ერგება აქედან?.. ვინ უნდა მოაგროვოს, რომ სანდო კაცი ალარავინ არ არის ამ დროში? არ გახსოვს გადამწვარ გურულებისათვის მოგროვილ ფულების თაობაზე რა ალიაქოთი იყო ატეხილი?

ბენია. თუ ისე მოიქცევიან, ქე დაესხმებათ თავზე ლაფი.

ბეშტია. თავზე ლაფი ახლაც კი აქვან ჩემო ბენია ზოგიერთებს, მარა იმერეთის დამშეულ ხალხს რა წაადგება მათი თავლაფიანობა?..

ბენია. ეჰ, ძმაო, მე თუ მკითხავ, ჩვენს დროში ყველა სვავი და ყვავია, ყველა მჭამელი და მყლაპავია.

ბეშტია. მართალი ბრძანებაა და არც კი ღირს ამაზე ლაპარაკი. ერთი შენ ის მითხარი რა არის ახალი ჩვენს ქალაქში, ჩემო ბენია.

ბენია. ახალი ამბები ბევრია ბეშტია, მაგრამ რომელი ერთი გითხრა! ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ახალი ალმანახი გამოვიდა—„ჩვენი ხუმარა"!.

ბეშტია. რაო? ჩვენი ხუმარაო? ჩვენ ქვეყნის ხუმარა ვართ და ჩვენი ხუმარა რომელია? მითხარი თუ ძმა ხარ ერთი.

ბენია. რა ვიცი, რა მოგახსენო? რუსის კლოუნებსა გვანან, ალბათ ესიკოვის ცირკიდან თუ გამოუყვანიათ, მაგრამ ქართულათ კი ალაპარაკებენ!.

ბეშტია. რას ლაპარაკობენ, რას მასხარობენ, თუ მოჰკარი ყური.

ბენია. თავიდანვე ცუდათ დაიწყეს ჭიანურის დაკვრა, მაგრამ მოსიმღერე ვინა ჰყავთ, რომ კაი რამე დაამღერონ? მაგათი მომლხენი „ყვავია", რომელმაც ჩვენს რედაქტორსაც კი დასჩხავლა თავზე!

ბეშტია. აი თუ მოძულებიათ თავი! რაო, ჭინჭარი მინდაო?.. ჩემი ამხანაგი კი ამბობდა ყვავებსა და სვავებს ჩვენი რედაქტორის ინტერესი აქვან და უნდა გამოილმშვრონ მის წინააღმდეგაო, მაგრამ ვერ გამიგია, ვის უნდა დასცინონ მაგ მასხარებმა, რომ თითონ ქვეყნის დასაცინი არიან?!.

ბენია. საცინელი სხვას სცინის,
ეს რა გასაკვირია?!.
მაგრამ ქვეყნათ—ჩვენსავით
პირში მთქმელი ძვირია.

ბეშტია. ჩვენი ჭინჭრის კონებით,
ბევრსა დაუყვირია
და შემდეგშიც ბევრს ვნახავთ—
დაუსივდეს ცხვირია.

მესტვირული.

(თფილისელებისათვის)

ახირებული ყოფილა,
ადამის მოდგმის ბუნება!
თუ გაჯიუტდა წყეული
და რამე მოიგუნება,
სამშვიდობოზე იმისი
ძნელია გამობრუნება,
ზურგისა კანი საგრძნობლად
სანამ არ აეცხუნება.

პირველათ სექცია ვნახოთ,
ქართული სახის მქონია,
სახალხო სახლში ბუნაგობს,
მე ასე გამიგონია.
და უთხრათ—ფრიად კარგია
შენი თავისა გონება
ქალთა მომღერალთ, მგალობელთ,
მუდმივი დასის ყოლება.

ისიცა უთხრათ, იცოდეს
ხანა ახალი არისო,
აწმყო—წასულის შობილი,
მშობელი მომავალისო,
ესრე მოძრაობს ყოველი,
გარდამავალი არისო,
რა დაგრჩომია ნეტავი
მამა-პაპური ხანისო?!!
შენ ვის მიანდვე სადავე,
საქმე ეს წასახალისო,
საით მიჩქმალე გმირები
მცოდნე, სარდალი ჯარისო,
ძმაბიჭურ მოხაზულობის
აქ რაღაც სუნი ადისო,
გადავკრათ იმათ ჭინჭარი,
ამწველი ზურგის კანისო!

ეხლა სერგია მოვნახოთ,
თავდიშვილისა გვარისო,
მისი ამყოლი გვამებიც
ჭაბუკნი გარე მხარისო.
ვიღაც კირილეს ეძებდენ
საბუთიც ჰქონდათ ამისო,
წაუწიკწიკოს რეცენზი,
სახოტბო, სასიამისო.

რეცენზსა სწერს, თუ რეკლამას
პატივცემულნი გვამები?!
(ჭინჭარმა მისცეს წამალი,
ზურგისა დასაამები).

ეხლა კი უთხრათ გოძიევს—
მიჰყვეს დავითის მცნებასო,
(ათას წილათ სჯობს ღმერთმანი
ჩემს სულის განათლებასო)
თავი ანებე სულიკო,
ცუდი ჰეპელას ჭერასო;
არ ვის ერგია არაფრათ,
ვერც თავს შემატებ ვერასო,
არც ხორცი გარგებს, არც ტყავი,
დასწყევლი ბედის წერასო.

ტონი.

(ბურიისათვის)

ყველაისათვის კარგი მსურს,
ვინც რომ არ იზამს ავსაო,
მოყვარეს ვალხენ სტვირითა,
მტერსა ვაძახებ ვასაო;
სიმართლე რომ ვიქადაგო,
რათ ეწყინება სხვასაო?!
თუ ვინმეს გული კი მოსდის—
თავიც ახალოს ქვასაო...

ჯერე ფოთიდგან დავიწყებ,
ასე აჯობებს მგონია,
სკელეზედ ხისა მყიდველებს
ყველას ჩაედვა ქონია.
ზოგზოგის ქცევა მუშებზედ,
არ არის მოსაწონია,
ტანჯული ხალხის მჩაგვრელმა—
ბოლოს დალოცოს ფონია.

ეხლა მივადგეთ დუქანსა,
ამაგ სკელეის პირსაო,
მიულილინოთ მიკიტანს,
სტვირი ვახალოთ ცხვირსაო,
უთხრათ დაღლილსა მუშესა
ბევრსა ნუ ასმევს სვირსაო,
თქვენი ბრალია, რაც მოხდა
გურულს გოგიჩაშვილსაო.

ეხლა სჯობს შემოვტრიალდე,
ზევით ვიბრუნო პირია

და ვინახულო ლესაში,
რაც არის გასაჭირია.
რაცხა ლილინი, ნუგეში
ორაგველიძეს სჭირია,
რადგანაც თვისი სიცეტით
ზე მოუნგრიეს ცხვირია.
ერთი ჭინათშიც ავიჭრათ,
მოვინახულოთ ერია,
რომლებიც ასე იძახის:
ვერა ვართ ბედნიერია;
დრამა ფულისთვის ხუცესი,
გადიქცა ჩვენი მტერია,
ტყვილა ყოყოჩობს, თავს იქებს,
ბლალოჩინს უგავს წვერია!
სტვირო შენა ხარ დღეს ცოდვა,
შესაბრალისი ობოლზედ—
ერთი ფოცხვერეთს ვეწვიოთ,
გადავდგეთ მაღლა კოჯორზედ!
გადაუძახოთ—„მაღალსა“,
ჭინჭარი გავკრათ ქოჩორზედ,
„იმასთან“ ხუნტრუცს ერჩიოს—
უკულმა შეჯდეს ჩოჩორზედ.

ობოლი.

გამოძახილი

(ეუძღვ. ზოგიერთ ჭკუის მასწავლებელ ამხანაგებს).

მყვირალობა თუ საქმეა,
ეს ღმერთს თქვენთვის დაულოცავს,
სჯობია, რომ მონახავდეთ
ჯერ თვით თავის გასაცოხავს.
მე კი არა—თქვენ გრცხვენოდეთ,
ათქვეფილხართ ზურბთა წრეში!
მათ წუმპეში ჭყუმპალაობთ,
ამოჩრილხართ მათთან გვერდში!
მათთან რა მაქვს მე საერთო,
სულ კრიჭაში ვედგომები,
დეე მე მხვდეს მათი რისხვა,
დაგიტვირთონ თქვენ გემები.
ოგი შერცხვეს, ვინც ჩვენ შორის
მიდგომითა მოქმედებდეს,
ვინცა რამით მოისყიდოს,
ის არა თქვას, რასაც გრძნობდეს.
კარგი ამხანაგები გყავსთ,
მხოლოთ თქვენთვის დამილოცავს*),
მეკი გზიდგან.—თვით მოიმკით
თავის თავის გასაცოცხავს.

შხანკოლა.

*) ჩვენ ჭინჭარსა მივთავაზებთ,
ჭიასავით ვინც დაცოცავს,
სხვის ნაშრომით დაპარპაშობს,
თვით ოფლიც არ მოუხოცავს!

ბვნია.

ზელიმ-ხანის ამბები

ზელიმ-ხანი თავის ცოლ-შვილთან და მათი თავდასხმა.

რამდენიმე ხანს ზელიმ-ხანი მიიმალა სადღაც, მისი ამბავი არა ისმოდა-რა ხახლში ბევრნაირი ხმა ვრცელდებოდა: ზოგი ამბობდა ავათ გახდაო, ზოგი მოჰკლესო და სხვ. ნამდვილათ კი ზელიმხანმა მონახა მთებში მიუვალი ადგილი, წაიყვანა თავისი ცოლ-შვილი და მიეცა მოსვენებას. ზელიმხანის ოჯახი შესდგებოდა ხუთი სულისაგან: ცოლი, ორი პატარა ვაჟი და ორიც ქალი.

1910 წ. ღვინობისთვეში, ზელიმ-ხანი სახლში იჯდა და იარაღს სწმენდა, ბავშვები კი თამაშობდენ. ამ დროს ზელიმხანი ზეზე წამოვარდა და გარეთ გავარდა. ის მსწრაფლ შემობრუნდა სახლში და დაჰკოცნა ცოლ-შვილი.

— მიხვალ! გაკვირვებით ჰკითხა ცოლმა.

— ხო, მივალ,—მიუგო ზელიმხანმა,—რაღაც ხმაურობა ისმის, მგონი ჩვენსკენ მოდიან. სჩანს ვილამაც გაგვცა. მშვიდობით... შეიძლება თქვენ ხელი არ გახლონ... მათ თქვენი ხელის ხლება ძვირათ დაუჯდებათ... შეჯდა ცხენზე და ერთ წამში გაქრა.

ხუთ წუთში ზელიმხანის სახლობას გარს შემოერტყა ყაზახები. ყველაფერი გაჩხრიკეს და გამოიკითხეს, რაკი ზელიმხანის კვალს ვერ მიაგნეს, ცოლ-შვილი დაატყვევეს და მდინარე ასინის ხეობით წაიყვანეს ქალაქში.

— მე გთხოვთ რომ სხვა გზით წაგვიყვანოთ, განუცხადა პატარა ქალმა მაზრის უფროსს.

— რატომ?—შეეკითხა მაზრის უფროსი.

— იმიტომ რომ მე არ მინდა კიდეე სისხლი დაილვაროს...

— სისხლი?!—გაიკვირვა ჯარის უფროსმა,— საიდან შეიძლება რომ ეს მოხდეს?

— იქიდან, რომ ჩეჩნების ზნე-ჩვეულება სხვანაირია. როდესაც მათი ოჯახობა მიჰყავთ დატყვევებული, ის ამას დიდ შევრაცყოფათ ღებულობს და იცავს მათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

— სხვა?

— სხვა ისა, რომ ზელიმხანმა არ შეიტყოს ჩვენი დაყვევება და თავს არ დაგვესხას თავის რაზმით.

ჯარის უფროსი ამ სიტყვებმა შეაფიქრიანა, მაგრამ ბოლოს განაცხადა: ზელიმხანის შეხვედრის ჩვენ არ გვეშინიაო და გაუდგა იმავე გზით... ჯარი ორ ნაწილად გაჰყვეს, პირველს ხელმძღვანელობდა თავადი ანდრონიკოვი, მეორეს—დაღესტნის პოლკის ყაზახთა ასეულით დონაგუევი და ნელის ნაბიჯით მიიწევდენ.

წინ მიდიოდა ანდრონიკოვი, უცებ საიდანღაც იგრიალეს თოფებმა და ანდრონიკოვი უსულოთ გადმოვარდა ცხენიდან. ამ დროს დონაგუევმა გასცა რაღაც ბრძანება, მაგრამ მეორეთ იგრიალეს თოფებმა და დონაგუევიც სასიკვდილოთ დაიჭრა. შეიქნა გაცხარებული სროლა ორივე მხრით. ყაზახების მხრივ ბევრი დაიხოცა. ყაზახებმა მიიტანეს იერიში საიდანაც თოფების ხმა ისმოდა, მაგრამ ვერავინ იპოვნეს, ზელიმხანი და მისი რაზმი უკვე წასულიყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვლადიკავკაზში ასაფლავებდნენ ასინის ხეობაში დახოცილთა გვამებს. როდესაც პროცესია გაემართა სასაფლაოსაკენ უცებ ასტყდა რაღაც ჩოჩქოლი.

ერთმა ყაზახმა,—რომელიც კუბოს გვერდით მიჰყვებოდა და რომელიც ამ შეტაკებაში იღებდა მონაწილეობას,—შეხედა მის გვერდით მიმავალ აფიცერს სახეზე და გაოცებული წამოიძახა: ზელიმხანი.

მრავალ რიცხვოვანმა ხალხმა გრგვინვით განიმეორა ეს საშინელი სახელი: ზელიმხანი, ზელიმხანი.

უნდოდათ მივარდნოდენ მას მაგრამ ზელიმხანი გაერია ხალხში და იმწამსვე გაჰქრა.

ის ჩამოსულიყო და ამ შურის-ძიების შემდეგ, თავის ხელით დახოცილთა დასაფლავებას ესწრებოდა.

(შემდეგი იქნება)

მიწერ-მოწერა.

პასუხი მიქიაშვილისადმი.

მოგეწერა, წავიკითხე,—
ამბავია საკვირველი,
მარა ჩვენიც მოისმინე—
სულ ვარესი, საშინელი.
რაც ყოფაში ეხლა ჩვენ ვართ
ისე იყოს ჩვენი მტერი,
ნიადაგი გაგვეცალა,
აგვერია მონასტერი..
მაშინ ვინც ჩვენ გვაყბედებდენ,
თვითვე იქცენ კრამოლნიკათ,
აღარც ქრთამი, არც ნადავლი,
ჩვენი ჯიბე გახდა ხინკათ!..
ხომ იცნობდი ჩვენს დიდ „ურას“,
გურიას რომ ულრინავდა?
კუდით ქვაი ასროლინეს
და ყმუილით გადაშავდა;
დარჩენ ობლათ მათი მცველნი,
მათი „ტელოხრანიტლები“,
მგონი ვერც „იმან“ უშველოს,
ტყვილად სტკეპნოს შორი გზები.
იმ ვაჟბატონს გული სტკივა,
ფეხს რომ ლოკდა ძაღლსავითა,
დაძუნძულობს აწანწლული,
ნაკეშუარ ტახსავითა!
მხოლოთ ცოტა იმედი აქვს—
მოაწია სალდათობა
და დაიწყო ისევ ძრომა,
დიდკაცებთან დალალობა!
რევოლიუციას მკითხავ?
ნეტავ აგი არ გენება,
ღმერთმა ბარემ არ მომასწროს
მე იმ დღეის გათენება.
შენი პალტო აქ კიდავსო—
ეს რა გითქვამს სამწუხარო!..
ალბათ ვასილას იქნება,
მე არ ვკვდები მეგობარო!
და რომც მოვკვდე, რა ბრიყვი ხარ!
ვინ ჩამიშვებს ჯოჯოხეთში?
ალიხანოვს თავს გავაცნობ—
გამამწესებს სამოთხეში.
დავით დიტომ, და კოწიამ
მოგიკითხათ სიყვარულით,
კონსტანტინე სულის კაცსაც
ადრე გნახოს უნდა გულით.
აწ დავშთები მეგობარი,
შენი ხილვის მოტრფიალე,
ჩინებ ჩამომძველებული,
ოზურგეთში მოყიალე.

— ა.

რეცენზიები.

წაველ ქართულ თეატრში და ვნახე შალიკაშვილის პიესა „გადაჭრილი მუხა“ მართალი მოგახსენოთ, პიესას, რომ აზრი მოვაშოროთ, სცენაზე გრჩებათ მხოლოთ პროექტორი, გამოფიტული

მჩატე წარმოდგენა. ვ. გუნია თავის კალაპოტში იყო მოქცეული და საზოგადოებაც ბევრი აცინა. ტასო აბაშიძემ, მაყურებელი ხალხი წაახალისა პიესის საყურებლათ. საერთოთ პიესამ კარგათ ჩაიარა...

—

ორშაბათს, 21 ოქტომბერს სახალხო სახლში წარმოადგინეს მაიმუნი, აჰ, უკაცრავათ „ტაიფუნი“. თუმცა წარმოდგენა წრის სასარგებლოთ მიდიოდა, მაგრამ ასე ფასების აწევა სწორეთ მოუხერხებელია, ისიც სახალხო აუდიტორიაში, 50 კაპეიკიანი ბარათი 2 მანათი ღირდა! მაინც ხალხი საკმაოდ დაესწრო. გათავდა პირველი მოქმედება, მეორე და გამოიშალა ხალხი თეატრის ფოიეში;

—ოლია, როგორ მოგწონს პიესა?—შეეკითხა ერთი ქალი მეორეს.

— არაფერი მინახავს, მეძინებოდა.

— ქა მეცა

— სანდრო! რა აზრისა ხარ ამაღამინდელ წარმოდგენაზე?

— რა გითხრა ძმავ, მეძინებოდა, პიესისა არ გამიგია რა არის!

— მე კიდევ გვერდზე ორი ქალი მისხდა და იმათი სირცხვილით არ დავიძინე, მაგრამ წარმოიდგინე, რომ შევხედე იმათ ეძინათ, მეც ნება მივეცი თავს დამძინებოდა.

არტისტებზე მეტს არას ვიტყვი, მხოლოთ რამდენიმეს დაგისურათებთ: ნინო ჩხეიძე ხელთ-უქმნელი სურათი იყო და საზოგადოებაც განცვიფრებაში მოიყვანა. იმედაშვილი კისერს რათა მალავს არ ვიცით? ჭანკვეტაძეს შეუფერებელი როლი ჰქონდა, ამას თითონაც ატყობდა და ვერ ეჭირა თავი შესაფერათ სცენაზე. ზურაბიშვილმა ნამდვილი ძველი რეჟიმის მომრიგებელი მოსამართლე დაგვიხატა. ბრალმდებელს ჯალათის ტანისამოსი რათ ეცვა? ნუ თუ საფრანგეთში ასეთი ფორმაა? დანარჩენებზე ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც თითონაც არ იცოდნენ რას აკეთებდნენ. წარმოდგენა ნაშუაღამევის ორ საათზე გათავდა. ხალხი უკმაყოფილოთ დაბრუნდა.

მიშა.

პატარა ფელეტონი

ჭიათურის ვიზიტები.

ბალნიცის კარებს მივადექ,
ზარებს ჩამოვკარ წყნარათა,
ვიფიქრე, მოდი დავივლი
ერთს გულის მოსაფხანათა.
ცოტათი „ცუდათ“ ვიგრძენი
მე თავი იმა ხანაჲა,
ვისაც დასჭირდეს იქ მიდის
სიკვდილის მოსაყვანათა!
კარი გამიღეს, მიმიღეს,
როგორც რიგი და წესია;
ვითომ ავათ ვარ, ჩემს დღეში,
იმდენი არ მიკვნესია.
ფეხ-აკრეფითა ავპორტყდი,
მოვეწყვე უცხო პლანზედა,
ჩამოუვარე რიგ-რიგათ,
მწოლარეთ რკინის ტახტზედა.
ვიფიქრე: რაც უნდ გადამხდეს
მრავალ-ჯერ ტანჯულ თავზედა,
არ უღალატებ ჩემს რწმენას
მივათრევ ბოლოს კარზედა!..
უდაბნოს მოგაგონებდა,
სიჩუმე იყო ძალზედა,
კაცნი ვართ, თითქოს შევშინდი,
თმაც კი ამიდგა ყალყზედა,
მაგრამ დალოცოს უფალმა,
თუ კაცი არის ჯანზედა,
გონზე მოვედი, მოვცოცხლდი,
„შენი ჭირიმეს“ ხმაზედა!
ხომ იცით გულის ამბავი,
მომეხალისა გამეგო,
თუნდაც სიცოცხლე ნაპოვნი
ხელმეორეთა წამეგო,
სიდგან მოფრინდა შვების ხმა
„ჭირიმე“ ამონაგლეჯი,
მოვცილებოდი—მენახა
სიცოცხლის მცირე ნაგლეჯი.
და ვნახე კიდეც... „სიცოცხლევ
კიდევ ხომ მოხვალ მალეო,
უკეთესს ბინას სად ნახავთ,
ჭირემე გენაცვალეო!“.

ვინც ავათ არის, მორჩენა
აუცილებლათ სჭირდებათ,
ისინი გარეთ რჩებიან,
მიღება გაუჭირდებათ.
და ისეთები, რომელნიც
„ჭირიმეს“ ეთაყვანება,
საწოლს აძლევენ, ნუ თუ ეს
არ არის გადაგვარება?!.

კირილე.

მეპურის ზოდება.

ქვე რა უთხრა იმასა,
ვინც აძვირებს ფქვილსაო,
ფოდრაჩიკსა იმ ოჯახ
დასაქცევიშვილსაო.

დოუწყვია სკლადებში,
უთვალავი ტომრები,
შეხედოთ გეგონებათ
კედელი ნაომრები,

ვოხერი თაგვებისგან
ისეა დახვრეტილი,
ჩვენზე კი ძვირათ ყიდის,
ის ნამუს გაწყვეტილი!
პატიოსან ფქვილებსა,
როცა გაამწარებსო,
მაშინ გადმოგვაყიდის,
მითომ გაგვახარებსო!
მოვა ნახამს აგენტი,
პური არის მწარეო,
შეგვიყენებს ,,პროტოკოლს‘‘,
,,შტრაფი‘‘ დააჩქარეო!
მოდი და გოუძელი,
აპა ვისი ბრალიაჼ?!
ნეტა მომკლა იქონე,
სადაც სამართალია!..

შმაგა.

იგავისებური.

„ყვავი“ და ბულბული.

(მიბაძვა)

ერთხელ ერთ ყვავსა,
მჩხავანას, ავსა,
(რომელიც „ჩვენსა ხუმარას“ ჰყავსა),
დაელო ხახა,
ეს ფრინველთ გლახა—
გაიძახოდა: „ყვა-სა და ყვა“-სა!!
გაკვირვებულმა,
ჰკითხა ბულბულმა:
—„რისთვის აყრუებ არე-მარესა?!
შენი ყარყარით,
გულ-შესაზარით
ფიქრობ, რომ ატკბობ ამ ჩვენს მხარესა?!“.

—„ეჰ, შენ რა იცი,
ბრმა ხარ უვიცი,
ჩემი ღირსება შეჰკითხე ბუსა—
წყვდიადის „გმირსა“,
მამულიშვილსა,
ჩვენს სამეფოში გალაღებულსა.
ამ ჩემის ენით,
ტკბილისა ლხენით,
მე ვანეტარებ მთელ სამყაროსა
და შეხეთ ერთი,
სად არის ღმერთი,
რომ ეს მიწუნებს კილოს და შნოსა!“

—„საბრალო ყვავო,
შე საცოდავო!
შენი საქმეა—ლეში და მძორი;
სადაც გაქვს ბინა,
იქვე ცხვირ-წინა,
მოგეპოვება მთელი გოდორი!
შიგ ჩარგე ცხვირი,
(ბევრსა ნუ ჰყვირი),
თორემ ყბის ძვალზე მოიტეხ ენას
და მგლოვიარე,
ეგ შენი მხარე—
ველარ იხილავს შენსა მოლხენას“.

—

არ-რა მწამს ყვავის,
ის მუდამ ჩხავის,
მაგრამ ვინ უგდებს საბრალოს ყურსა?
ვითომ და გალობს,
ნეტა რას წვალობს?
ძალას ვინ ატანს იმ უბედურსა!?.*)

იადონი.

წერილი რედაქციას.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი ჟურნალის—„შინჯარის“ საშვალებით ვინმე „ბუჯვუტი“, ჩვენ ქვემორე ხელის მომწერთ შესახებ ძლიერ ცუდ ხმას ავრცელებს საზოგადოებაში; სრულებით დაუმსახურებლად სახელს გვიტეხს, რომლისათვის მას ეხება კანონი 1039 სტ. ძალით. გთხოვთ თქვენივე ჟურნალის საშვალებით დაგვისახელოთ—თუ ვინ არის ბუჯვუტი; წინაარმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით თქვენვე გამოგიწვიოთ სამართალში იმავე სტატიის ძალით.

პატივისცემით: დეკანოზი კლემენტოს ჭანტურაია, მღვდელი იოანე ბობოხიძე, მღვდელი გიორგი ჭეჭეჭკორი.

—

თქვენნო მეუფებავ! „ბუჯვუტის“ ვინაობას ვერ გაცნობებთ, რადგან რედაქციებს არა აქვთ კანონათ საქმის გამოურკვევლად საჯაროთ გამოაცხადოს ავტორის ვინაობა. თუ სრულებით დაუმსახურებლად სახელს გიტეხავთ და ცუდ ხმებს ავრცელებს ჩვენი კორესპონდენტი თქვენს შესახებ, ეს ჩვენთვის დიდათ სამწუხაროა და არც მოვეფერებით კორესპონდენტს, ხოლო ნუ თუ თქვენ ის გაგიკეთებსთ სახელს საზოგადოების თვალში—რედაქტორი ან ავტორი ზემოხსენებული სტატიით დაისაჯოს? ვფიქრობთ რომ არა. ამიტომ თუ მედიატორული წესით გაიმართლებთ თავს, ჩვენც ვაღვიარებთ თქვენს უდანაშაულობას და გავრისხავთ კორესპონდენტს, ხოლო თუ სუდს მიმართავთ,—როდესაც ავტორი ვერ წარმოადგენს თავის სიტყვების დასამტკიცებელ საბუთებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს რედაქტორის მაგიერ.

„შინჯარის“ რედაქცია.

*) ტვინის ქავილი...
მორთო ჩხავილი,
შენც იადონო მას უგდებ ყურსა?!
ბენია.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12. რედაქტორ-გამომც. მ. ლელაშვილი.